



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 522/04)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი

2009 წლის 13 იანვარი

საბოლოო ვახდა
13/04/2009

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას

საქმეში: ალიევი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე,

ირენეუ კაბრალ ბარეტო.

ვლადიმერო ზაგრებელსკი.

დანუტე იოჩინე.

დრაგოლიუბ პოპოვიჩი.

ანდრაშ შაიო.

ნონა წოწორია, მოსამართლეები.

და *სალი დოლე*, სექციის განმწესრიგებელი,

განიხილა რა საქმე პალატის 2008 წ. 9 დეკემბრის სხდომაზე, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№ 522/04), რომელიც სასამართლოში წარდგენილ იქნა საქართველოში ლტოლვილის, ეთნიკურდ ჩეჩენი რუსეთის მოქალაქის, აბდულჰამიტ ალიევის („მომჩივანი“) მიერ, 2003 წ. 31 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34 - ე მუხლის საფუძველზე.

2. მომჩივანი წარმოდგენილია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატების, ქალბატონების, *მაკა გიოშვილის*, *თამარ გაბისონიასა* და *მანანა კობახიძის* მიერ. ქ-ნი *მანანა კობახიძე* მომჩივანს წარმოადგენს 2006 წ. 28 მარტიდან. 2007 წ. 15 თებერვლამდე, მომჩივანი ასევე წარმოდგენილი იყო ქ-ნ *ლია მუხაშაზრიას* მიერ - ადვოკატი თბილისიდან. საქართველოს მთავრობა თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი ქ-ნი *ირინე ბართაიასა* და ბატონების, *სიმონ პაპუაშვილისა* და *მიხეილ კეკენაძის* მიერ.

3. მომჩივანი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს თბილისის №5 საპრობილეში, ასევე, ამავე საპრობილეში, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს.

4. საქართველოს მთავრობამ კომენტარები წარმოადგინა 2006 წ. 27 იანვარსა და 25 აპრილს, ხოლო მომჩივანმა – 2006 წ. 25 მარტსა და 18 სექტემბერს (რეგლამენტის 54 მუხლი §1). სასამართლოს მხრიდან შეთავაზების შემდეგ, ორივე მხარემ წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია, შესაბამისად, 2007 წ. 17 და 21 მაისს (რეგლამენტის 54-ე მუხლი § 2 ა).

5. რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, მან სასამართლოს აცნობა, რომ არ აპირებდა საქმეში მესამე მხარედ ჩართვას. (კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი და რეგლამენტის 44-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი).

ფაქტები

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

6. მომჩივანი დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს საქართველოში 1999 წ. მარტიდან (სხვა ვერსიის თანახმად, 2000 წლიდან), როგორც ლტოლვილი.

7. იყო რა ინტერპოლის მიერ ძებნილი, მომჩივანი დაკავებულ იქნა 2002 წ. 3 მაისს ფოთში, საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ. რუსული მხარი მიერ 1998 წ. 6 იანვარს მიღებული მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების საფუძველზე. განმცხადებლის წინააღმდეგ რუსეთში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე განზრახ სხეულის დაზიანების ფაქტზე.

8. 2002 წ. 7 მაისსა და 13 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურა ითხოვდა რუსეთის ფედერაციიდან განმცხადებლის დაპატიმრებისა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული საქმის მასალების გადმოგზავნას. რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ, 2002 წ. 21 ივნისს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოგზავნა მასალები და შუამდგომლობა განმცხადებლის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ.

9. 2002 წ. 31 ივლისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რუსეთის ფედერაციიდან მიღებული მასალების შესაბამისად, მიიღო დადგენილება განმცხადებლის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ.

10. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს შიდა სამართალი არ აზუსტებდა ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას (შამავეი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ №36378/02, §§ 169 და 176 *in fine*, CEDH - 2005 III), მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიჩნია უკანონოდ და „გააპროტესტა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

11. 2002 წ. 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა:

„(...) კონსტიტუციის 42-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადასაცემ პირს უფლება აქვს, დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს, თუმცა, სსსკ არ განსაზღვრავს ასეთი საჩივრის განხილვის დროს გასატარებელ პროცედურებს (...). ამის მიუხედავად, აღნიშნულ საკანონმდებლო ხარვეზს არ შეუძლია ხელი შეუშალოს დაინტერესებულ პირს მისი კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული უფლების განხორციელებაში (...). [უზენაესი სასამართლო] მიიჩნევს, რომ ბატონ ალიევის სარჩელი განხილულ ინდა იქნას სსსკ-ის 242-ე მუხლის ინტერპრეტაციის ანალოგიურად, რომლის თანახმად, მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის ქმედება შეიძლება

გასაჩივრდეს სასამართლოში თუ პირი მას დაუსაბუთებლად ან უკანონოდ მიიჩნევს. ბ-ნი ალიევის ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო რა გენერალურმა პროკურატურამ, აღნიშნული სარჩელი განხილულ უნდა იქნას მთაწმინდა-კრწანისის პირველი ინსტანციის სასამართლოს, ტერიტორიულად კომპეტენტური ორგანოს, მიერ.“

12. უზენაესი სასამართლოს 2002 წ. 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, 2002 წ. 19 ნოემბერს განიხილა განმცხადებლის საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი საქართველოში იმყოფებოდა კანონიერად, ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი და თავისი სამართლებრივი მდგომარეობით უტოლდებოდა საქართველოს მოქალაქეს. მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ იგი დაკავებისთანავე არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოს წინაშე, რომელიც იმსჯელებდა მისი დაკავების კანონიერებასა და აღკვეთი ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე.

13. 2003 წ. 17 იანვარს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 19 ნოემბრისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება განმცხადებლის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმ ფაქტით, რომ გენერალური პროკურატურა არ ფლობდა ექსტრადიციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტს, რუსული მხარის მიერ 1998 წ. 6 იანვარს მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე განმცხადებლის პატიმრობის სამთვიანი ვადა 2002 წ. 3 აგვისტოს ამოიწურა და რომ საქართველოს შესაბამისი უწყებების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რუსულ მხარეს განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ წარმოუდგენია. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად. ამრიგად, მიიჩნია რა განმცხადებლის პატიმრობა უკანონოდ 2002 წ. 3 აგვისტოს შემდეგ, სასამართლომ ექსტრადიციის შესახებ აქტის დაუყოვნებლივ გაუქმება დაადგინა.

14. თუმცა, განმცხადებლის გათავისუფლება არ მომხდარა, ვინაიდან მას, საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა, 2003 წ. 10 იანვარს, ბრალი წაუყენეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევაში, რასაც ადგილი ჰქონდა 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს და საპყრობილის თანამშრომლებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, სასჯელადსრულების დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით (იხ. ზემოთ § 20).

15. უფრო კონკრეტულად, 2002 წ. 23 აგვისტოს, მომჩივანი მოთავსებულ იქნა ქ. თბილისის მე-5 საპყრობილის № 88 საკანში, რომელშიც ჩეჩენი ეროვნების 15-მდე პატიმარი იმყოფებოდა. თერთმეტი მათგანი დაკავებულ იქნა 2002 წ. აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით იარაღის გადატანის, ტარების, დამალვისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით (შამაევი §§ 57 და 58). შემდგომში, აღნიშნული 11 პირი ექსტრადირებულ იქნა რუსეთის ფედერაციაში, ისე, რომ ისინი ამის შესახებ ინფორმირებულნი არ ყოფილან (*Ibid*, §§ 378, 379 ეტ 416-426). 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს დაგეგმილი იყო ოთხი მათგანის

გადაცემა რუსეთისთვის, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2002 წ. 2 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე. №88 საკნის პატიმრებმა, რომლებმაც აღნიშნულის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ 3 ოქტომბერს, საღამოს, ტელევიზიით შეტყვევს, რომ „3 და 5 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დაკავებული რამდენიმე ჩეჩენის ექსტრადიცია გადაწყვეტილი იყო“, ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც მათთან საკნის დატოვების მოთხოვნით მივიდნენ. კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ წაუყენეს ფიქტიური მიზეზები, რის გამოც მათ საკანი უნდა დაეტოვებინათ. მსგავსი ტაქტიკა, სავარაუდოდ, ითვალისწინებდა 4 გადასაცემი პირის საკნის დანარჩენი პატიმრებისაგან განცალკევებას ზედმეტი სირთულეების გარეშე (*Ibid*, §§ 214-216, 376 378 ეტ 455).

16. აღნიშნული მოვლენების პარალელურად, 2002 წ. 4 ოქტომბერს, № 88 საკნის ზოგიერთი ჩეჩენი პატიმრის ადვოკატებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს, რომელმაც, იმავე დღეს, 17 საათამდე გადაწყვიტა, საქართველოს მთავრობისთვის, რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე, მიეთითებინა, რომ სასურველი იყო, მხარეებისა და სამართალწარმოების სწორად წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მომხდარიყო 2002 წ. 2 ოქტომბრის დადგენილებაში ხსენებული პირების ექსტრადიცია რუსეთის ფედერაციაში. მაგრამ 4 დაკავებული გადაეცა რუსულ მხარეს 2002 წ. 4 ოქტომბერს, 19 საათსა და 10 წუთზე (შამაევი და სხვები, ხსენებული ზემოთ, §§ 5-12, 453-455 და 479).

17. 2002 წ. 4 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის მიერ მოწვეულ იქნა ექსპერტი, განმცხადებლისთვის №88 საკნის პატიმრებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად მიყენებული დაზიანებების სიმძიმის დასადგენად. სამედიცინო ექსპერტმა გამოავლინა 4 სანტიმეტრიანი ნაკაწრი წელზე, 3 სისხლჩაქცევა ბარძაყებზე, რომელთაგან პირველი იყო 8x2 სმ და მეორე 5x2 სმ, ასევე სიწითლე ბარძაყებზე, შესაბამისად, 5x1 სმ, 3x2,5 სმ, 6x1 სმ და 6,5x1 სმ. სამი მსგავსი ნაკვალევი, შესაბამისად, 1x0,5 სმ, 1x0,5 სმ და 1x1 სმ, აღმოჩენილ იქნა თავზე. ექსპერტმა გამოავლინა სავარაუდოდ, ბლავი საგნით მიყენებული დაზიანებები, რომლებიც მიჩნეულ იქნა, როგორც მსუბუქი და საფრთხეს არ უქმნიდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას („2002 წ. 4 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნა“).

18. 2002 წ. 8 და 11 ნოემბერს შორის პერიოდში, მომჩივანი გასინჯა სხვა სამედიცინო ექსპერტმა პროკურატურის 2002 წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე და თავის დასკვნაში დაადასტურა წინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელის გაკეთების თარიღი უცნობია („2002 წ. ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა“).

19. აღნიშნული მოვლენების შემდგომ, მომჩივანს, სხვა არაექსტრადირებულ თანამოსაკნეებთან ერთად, წაეყენა ბრალი 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმაში, რომლებიც საკნიდან ოთხი გადასაცემი პირის გაყვანას ცდილობდნენ (შამაევი §§ 96 და 97).

20. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში, 2003 წ. 12 იანვარს, კრწანისი-მთაწმინდის რაიონის მოსამართლის ბრძანებით ა. ალიევს შეეფარდა დაპატიმრება 3

თვის ვადით, იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“) 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედებოდა, მიეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას, რომ საგამომიებო ორგანოების მხრიდან არავითარ პროცედურალ დარღვევას არ ჰქონია ადგილი და რომ თავმოყრილი იყო განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამამართლებელი ფორმალური და ფაქტობრივი ელემენტები.

21. მომჩივანმა აღნიშნული ბრძანება გასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით, რომ არ გადაუკვეთავს რა რუსეთ-საქართველოს საზღვარი 2002 წ. აგვისტოში ზემოაღნიშნულ ჩეჩნებთან ერთად, მას არ შეიძლება შეხებოდა 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს დაგეგმილი ექსტრადიცია, შესაბამისად, მას ხელისუფლების წარმომადგენელთათვის წინააღმდეგობის გაწევის არავითარი ინტერესი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, განმცხადებლის აზრით, აღნიშნულ თავდასხმაში მისი მონაწილეობის შესახებ მტკიცებულებები არ მოიპოვებოდა.

22. 2003 წ. 17 იანვარს, აღნიშნული სარჩელი უარყოფილ იქნა ბოლო ინსტანციით (სსსკ-ის 243-ე მუხლის §1, „ა“ აბზაცი) თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ. რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მოტივებს დაეყრდნო.

23. 2003 წ. 10 აპრილს, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გაგრძელებულ იქნა 2003 წ. 11 მაისამდე თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა (სსსკ-ის 243 მუხლის §11).

24, 2003 წ. 3 მაისს მომჩივანს გულის შეტევა დაემართა და გადაყვანილ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებამდე. 2003 წ. 6 სექტემბერს, მომჩივანი გადაყვანილ იქნა თბილისის პირველ საპრობილეში (სხვა ვერსიის თანახმად, მე-5 საპრობილეში (იხ. §73 ზემოთ)). 2003 წ. 31 ოქტომბერს, ევროპული სასამართლოსთვის მიმართვისას, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იმყოფებოდა თბილისის მე-5 საპრობილეში.

25. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო სამსახურის წერილიდან ირკვევა, რომ 2004 წ. 25 თებერვალს, მომჩივანი გასინჯულ იქნა სამედიცინო კომისიის მიერ თბილისის მე-5 საპრობილეში. დასმულ იქნა გულის იშემიის, ინფარქტის შემდგომი კარდიოსკლეროზისა და ასთმის სინდრომის დიაგნოზი.

26. 2004 წ. 14 აპრილს, მომჩივანი წაყენებულ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის მიხედვით, 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს, თბილისის მე-5 საპრობილის № 88 საკანში 14 პატიმარი იმყოფებოდა. მათ ტელევიზიით შეიტყვეს, რომ დაკავებული ჩეჩნები, რომლებმაც 2002 წ. 3 და 5 აგვისტოს არალეგალურად გადაკვეთეს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ექსტრადირებულნი იქნებოდნენ რუსეთის ფედერაციაში. Vინაიდან არ იცოდნენ თუ კონკრეტულად რომელი პატიმრის ექსტრადირება იყო მოსალოდნელი, №88 საკანში მყოფი ყველა პატიმარმა გადაწყვიტა, ფიზიკური წინააღმდეგობა

გაეწიათ საკნიდან მათ გამოსაყვანად მისული ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. პატიმრები შეიარაღებულები იყვნენ რკინის ნაჭრებით, საწოლებისა და ონკანის ნაწილებით. მათ დაჭრეს ბატონები ა. დალაქიშვილი, ე.ქერდიკოშვილი, ზ. ჩეჩაბერიძე, მ. ბუჩუკური, ბ. სამადაშვილი, და ზ. კოვზირიძე – იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები და დაზარალებულები.

27. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას, ისევე როგორც შემდგომში, მომჩივანი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ამტკიცებდა რა, რომ აღნიშნულ ღამეს, ის ხმაურმა გააღვიძა და მან საკანში დაინახა საპყრობილის უფროსი და სასჯელაღსრულების დაწესებულების 5 წარმომადგენელი, რომლებიც პატიმრებს საკნის დატოვებას სთხოვდნენ. პასუხად, პატიმრებმა მოითხოვეს, რომ ჯერ მათი ადვოკატები გამოეძახებინათ. ციხის უფროსი და თანამშრომლები გავიდნენ საკნიდან და ცოტა ხნის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი საკანში შევიდა. მათ სცემეს პატიმრები. განმცხადებლის თანახმად, პატიმრების მხრიდან ფიზიკური ზეწოლის ფაქტი ციხის ადმინისტრაციის გამოგონილია.

28. 2004 წ. 14 აპრილის განაჩენი სააპელაციო სასამართლოს მიერ 2004 წ. 26 აგვისტოს ძალაში იქნა დატოვებული. საკასაციო გადაწყვეტილებაში, უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადასტურა განმცხადებლის ბრალეულობა, მაგრამ სასჯელის ზომა 2 წლითა და 8 თვით განსაზღვრა.

29. 2005 წ. 6 იანვარს, მომჩივანი გათავისუფლებულ იქნა თბილისის მე-5 საპყრობილიდან, რომელიც პირველ საპყრობილესთან გაერთიანდა (იხ. ქვემოთ, §§ 34 და 65).

30. 2006 წ. 24 მარტის სამედიცინო ცნობის თანახმად, მომჩივანს პოსტ-ტრავმული სტრესი აწუხებდა დეპრესიული ნევრასთენიის სინდრომთან ერთად, ჩეჩნეთის ომის გამო, რომელსაც ის გამოექცა და ასევე, საქართველოში მისი პატიმრობის პირობებიდან გამომდინარე.

შესაბამისი შიდა სამართალი

31. საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 42§1

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

32. იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

„1. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე.“

2. საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურორი და გამომძიებელი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების, სახელმწიფო ორგანოთა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა შეტყობინებების, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობების საფუძველზე

4. მომკვლევნი, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან საჯარო ბრალდების საქმე, მიიღონ ზომები დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავის დასადგენად, არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.“

2005 წ. 25 მარტს, ზემოხსენებული 24-ე მუხლის მე-4 პარაგრაფი ამოღებულ იქნა.

44-ე მუხლი §§ 24 და 26

„ბრალდებული - სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.

მსჯავრდებული - პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.“

მუხლი 140 §17

„მხარეებს უფლება აქვთ, შუამდგომლობით მიმართონ იმ მოსამართლეს, რომელიც ბრძანების საფუძველზე იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, (...) აღნიშნული ღონისძიების გაუქმების ან მისი სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის შესახებ (...) მხარეებს მოსამართლისათვის ასეთი შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა ახალი არსებითი გარემოება, რომელიც ბრძანების გაცემისას მოსამართლისათვის ცნობილი არ იყო და ამასთან აუცილებელს ხდის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების საფუძვლიანობის გადამოწმებას.“

მუხლი 235§§1 და 2

„1. საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება (...)

2. საჩივარი მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან გამოძიების ორგანოს უფროსის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს.“

მუხლი 242 §1

„1. სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომლებიც, მომჩივნის აზრით, უკანონო და დაუსაბუთებელია, კერძოდ:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება;

ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება

გ) ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება.“

მუხლი 243 § 1 და 11

243-ე მუხლის I-ლი პუნქტის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის შესახებ რაიონული ან საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციისთ გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

ფაქტების დადგომის დროისათვის ძალაში მყოფი 243-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, წინასწარ პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და საბოლოო იყო.

მუხლი 259

„1. გადასაცემი პირის დაკავება, დაპატიმრება (...) შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა გადაცემის მოთხოვნას თან ერთვის სათანადოდ დამოწმებული სასამართლო ორდერი (ბრძანება) ისეთი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ, რომელიც ზღუდავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. გადაცემის მოთხოვნის საფუძველზე დაპატიმრებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება პატიმრობაში იყოს არა უმეტეს სამი თვისა, თუ არ იქნა შემოსული სასამართლო ორდერი (ბრძანება) ამ ვადის გაგრძელების თაობაზე.

4. გადასაცემ პირს უფლება აქვს თავის უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.“

მუხლი 261 § 1

„დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით ან პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე.“

მუხლი 263

“სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მომკვლევს, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს მოქალაქემ, ... ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ... ასევე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.“

33. 1999 წ. 22 ივლისის კანონი პატიმრობის შესახებ

მუხლი 1 § 1

„ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.“

მუხლი 9 § 1

„სასჯელადსრულების დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის მოკვლევა და გამოძიება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მოკვლევას აღნიშნულ საქმეებზე აწარმოებს დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური.“

მუხლი 26

„მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს:

ა. ა) საცხოვრებელი სადგომით, კვებით, ტანსაცმლით (..);

(..);

ბ) შეიტანოს საჩივარი სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე.“

მუხლი 33

„1. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი, უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

2. ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ... საპყრობილეში 2,5 კვ.მ-ზე, ... ნაკლები.

4. საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას.“

მუხლი 85§1

„ბრალდებულს, რომელიც დაპატიმრებულია (შემდგომში – პატიმარი) ... ამყოფებენ საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში.“

მუხლი 86§1

„საპყრობილის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონით დადგენილ ნორმებს.“

34. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2003 წ. 8 სექტემბრის ბრძანება № 998.

აღნიშნული ბრძანებით, იუსტიციის მინისტრმა გააუქმა თბილისის №5 საპყრობილე და შეუერთა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ №1 საპყრობილეს (1

და მე-2 პუნქტები). ბრძანება ძალაში შევიდა 2004 წ. 1 თებერვალს ორი ციხის გაერთიანება 2005 წ. 7 ოქტომბერს დასრულდა, როდესაც აღნიშნული ბრძანება გაუქმდა და ხელახლა მოხდა ორი ციხის განცალკევება.

35. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტის 2002 წ. 25 ივლისს გამოქვეყნებული მოხსენება საქართველოში 2001 წ. 6-18 მაისს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ

„69. №1 საპყრობილე მდებარეობს №5 საპყრობილის გვერდით. იგი თავდაპირვალად აშენდა 1860 წელს როგორც საწყობი და საპატიმროდ გადაკეთდა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი წარმოადგენს დახურული ტიპის, მკაცრი რეჟიმის ციხეს, რომელიც ამ ტიპის ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში და იგი განკუთვნილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული მამაკაცებისათვის (...)

74. დაწესებულების შენობები უაღრესად ამორტიზირებულია (დახეთქილი ბათქაში, კედლებზე გადაცლილი საღებავი, ჩამტვრეული ფანჯრები, დაზიანებული იატაკი, სიცოცხლისათვის საშიში გაუმართავი ელექტროგაყვანილობა/აპარატურა და მწყობრადან გამოსული წყალგაყვანილობის სისტემები), რაც სრულიად შეუსაბამო გარემოს ქმნის როგორც პატიმრების, ისე ციხის თანამშრომლებისათვის.

75. ყველაზე სავალალო მდგომარეობა აღინიშნა მთავრი კორპუსის სარდაფში, სადაც განთავსებული იყო საკნები („საკარანტინო ოთახები“) ახლადმოყვანილი პატიმრებისა და სხვა სასჯელარსრულების დაწესებულებებში გადასაცემი პირებისათვის. აქვე მდებარეობდა დისციპლინარული სასჯელის განყოფილება („კარცერი“) მამაკაცი პატიმრებისთვის. გარდა ამისა, სარდაფის ყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გამოიყენებოდა პროკურორის გადაწყვეტილებით ან მათივე უსაფრთხოების მიზნით იზოლირებული პატიმრებისთვის. ვიზიტის დროს სარდაფის საკნებში განთავსებულ პატიმართა მცირე რაოდენობა არ ასახავდა აქ ჩვეულებრივ მყოფ პატიმართა რაოდენობას, რაც შემდეგში ცხადყო საპყრობილის სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ.

დელეგაციის მიერ სარდაფის დათვალიერებამ გამოავლინა, რომ აქ ერთი პატიმრის საცხოვრებელი ფართი შეიძლება 1,7 კვ.მ.-ც კი იყოს. გარდა ამისა ჩვეულებრივ საკნები ბნელი, გაუნიავებელი, ნესტიანი და უსუფთაო იყო. დოგჯერ ისინი ნაგვის გროვებით იყო სავსე და მათი მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ძნელად ექვემდებარებოდა აღწერას. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას შეეწყვიტა სარდაფის გამოყენება და 3 თვის განმავლობაში მიეცა დასტური ამის თაობაზე. (2001 წ. 26 ნოემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა წამების საწინააღმდეგო კომიტეტს, რომ №5 საპყრობილის სარდაფი, მათ შორის საკარანტინო ოთახები და ყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გაუქმდა).

76. ასევე უმძიმესი პირობებია მთავარი კორპუსის სხვა სართულებზე. შაკნების უდიდესი უმრავლესობა გადატვირთულია (მაგ. 20 კვ.მ. ფართის საკანში მოთავსებულია 10 პატიმარი; ხოლო 55-დან 60 კვ.მ.-დე ფართის საკანში 30-მდე პატიმარი იხდის სასჯელს). რამდენიმე საკანში პატიმრების რაოდენობა აღემატება საწოლების რაოდენობას, რის გამოც პატიმრებს მორიგეობით უწევთ ძილი. საკნების გადატვირთულობასთან ერთად პატიმრების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს Aის, რომ საკნების ფანჯრებზე აფარებული რკინის სქელი ჟალუზები უკიდურესად ზღუდავს დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შემოსვლას. არადაამაკმაყოფილებელია ასევე საკნების ხელოვნური განათება.

77. საკნების თითქმის მთელი ფართი უკავია ორსართულიან საწოლებს და პრაქტიკულად არ არის ადგილი რაიმე სხვა ავეჯისათვის. საწოლებიცა და თეთრეულიც ხშირად სავალალო მდგომარეობაშია, ლეიბები და საბნები კი ჭუჭყიანი და დაფლეთილია. ციხე არ უზრუნველყოფს პატიმრებს პირადი ჰიგიენის საგნებით და ისინი იძულებული არიან მათ მიერვე სახელდახელოდ შექმნილი ხერხებითა და საშუალებებით გარეცხონ ტანსაცმელი და თეთრეული იქვე საკნების

სველ წერტილებში (რომლებიც შედგება ნახევრად ამოშენებული კედლის მიღმა განთავსებული თურქულ ტულაეტისა და ცივი წკლის ონკანისაგან). შედარებით დადებითი მდგომარეობაა იმ თვალსაზრისით, რომ მამაკაც პატიმრებს შეუძლიათ კვირაში ერთხელ ისარგებლონ კარგად მოწყობილი ცენტრალური საშხაპით. ეს საშხაპე ახალი მოწყობილია და დაწესებულების „მარგალიტად“ შეიძლება იწოდოს.

81. ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ციხე ახერხებდა პატიმრების სამჯერადი კვების უზრუნველყოფას. თუმცა მრავალმა პატიმარმა გამოთქვა უკმაყოფილება საკვების ხარისხთან და მის ერთფეროვნებასთან დაკავშირებით. კვების რაციონის გაუმჯობესება ხდებოდა პატიმრების ნათესავების მიერ მოტანილი ამანათების ხარჯზე, რომელთა მიღებაც მათ შეუძლიათ შეუზღუდავი რაოდენობით.“

36. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტის 2005 წ. 30 ივნისს გამოქვეყნებული მოხსენება საქართველოში 2003 წ. 18-28 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ

„55. 2004 წ. მაისის ვიზიტის დროს, დელეგაციას შეატყობინეს შემაშფოთებელი ტენდენციის შესახებ: 2004 წ. იანვრიდან, საქართველოს ციხეებში პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 700 პატიმრით, რაც შეადგენს ზრდის 10%-იან მაჩვენებელს 4 თვის განმავლობაში. პატიმართა საერთო რაოდენობა იყო დაახლოებით 7000, რომლის 40% იყო განსასჯელი (რემანდ პრისონერ). შედეგად, ციხეების გადატვირთვამ ქვეყნის ძირითად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თბილისის მეხუთე საპყრობილეში, მიაღწია შემაშფოთებელ მაჩვენებელს. ამავდროულად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საპყრობილეში არსებული მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე და ზოგი შენობა იყო გამოუყენებადი. შედეგად, პირობები ბევრ დაწესებულებაში მნიშვნელოვნად არღვევდა როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

56. კომიტეტის დელეგაციას შეატყობინეს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაისახა ზემოხსენებულ პრობლემათა გადასაჭრელად. პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლება ღებულობდა ზომებს, რათა გაეფართოვებინა და განეახლებინა საპყრობილე. დასარულების სტადიზე იყო ევროკავშირთან მოლაპარაკება რუსთავეში ახალი ციხის (მე-6 საპყრობილე) დასრულების დაფინანსების თაობაზე. (...)

65. 2003 წ. 19 ნოემბერს, მე-5 საპყრობილეში იმყოფებოდა 1825 პატიმარი... 2004 წ. მაისში, კომიტეტის ვიზიტის გახანგრძლივების დროისათვის, დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 22%-ით და გახდა 2222... მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ტევადობა უტოლდებოდა 2020-ს, დელეგაციას შეატყობინეს, რომ მოცემული რიცხვი დადგინდა საბჭოთა კავშირის დროს და ტევადობა რეალურად 1500 იყო.

ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გადაწყდა გაერთიანებინათ მე-5 საპყრობილე ახლომდებარე პირველ საპყრობილესთან გაერთიანება (დახურული ტიპის მკაცრი რეჟიმის დაწესებულება მსჯავრდებულთათვის) და ამ უკანასკნელ დაწესებულებაში გადაეყვანათ განაჩენის მომლოდინე პატიმრები. დაახლოებით 400 პატიმარი დაექვემდებარა გადაყვანას. 2004 წ. მაისის ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები გადაყვანის პროცედურის იმპლემენტაციისათვის.

67. 2001 წ. ვიზიტის დასასრულს, CPT-ის დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამოეღო მოხმარებიდან ყველა საკანი, რომელიც მდებარეობდა დაკავების ძირითადი ბლოკის (კარანტინი, ტრანზიტი და დისციპლინარული საკნები) სარდაფში. ეს ღონისძიება მართლაც გატარდა 2001 წ. ვიზიტის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მე-5 საპყრობილეში გაგზავნილ პატიმართა მზარდი რაოდენობის გამო, კვლავ გახდა აუცილებელი სარდაფის საკანთა გამოყენება. 2004 წ. მაისში, 170 პატიმარი იმყოფებოდა სარდაფში (ახალი პატიმრები, პატიმრები განცალკევებულები მათივე უსაფრთხოებისათვის და გადაყვანის მომლოდინე პატიმრები). საკნები იყო ბნელი, ცუდად

ვენტილირებული, ნესტიანი და ამაზრზენად ბინძური. ასევე, ზოგ საკანში პატიმრები იყოფდნენ საწოლებს.

68. პირობები დაკავების ძირითადი ბლოკის სხვა დონეებზე დარჩა ძალიან მძიმე. საწოლი ოთახები იყო შესამჩნევად გადატვირთული, 1 მ² სივრცე პატიმარზე. პატიმართა რაოდენობა ხშირად აჭარბებდა საწოლების რაოდენობას, რის გამოც პატიმრებს უწევდათ ორ, ან ზოგჯერ 3, ცვლად ძილი (მაგალითად, 45 მ²-იან საკანში, სადაც იყო 28 საწოლი, იმყოფებოდა 46 პატიმარი). სიტუაციას ამწვავებდა ცუდი ვენტილაცია და ბუნებრივი განათების ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო საკნების ფანჯრებზე დამონტაჟებული მეტალის დარაბებით. ამასთან დაკავშირებით, დელეგაციას აცნობეს, რომ დარაბების მოხსნის გეგმა (CPT-ის 2001 წ. ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად) ვერ განხორციელდა ფინანსების ნაკლებობის გამო. სანიტარული პირობებიც სავსებით არაადეკვატური იყო: დაახლოებით 50 პატიმარი სარგებლობდა ერთი და იმავე დანგრეული, ხშირად ბინძური საპირფარეშოთი. ამასთანავე, არ იყო გათბობა და დაუფარავი ელექტრომაკვთულები ქმნიდნენ უბედურ შემთხვევათა მაღალ რისკს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პატიმარმა ზემოთ აღწერილ მავნებელ გარემოში გაატარა დაახლოებით ორწელიწადნახევარი. (...)

72. საკვებთან დაკავშირებული მდგომარეობა არ შეცვლილა 2001 წ. ვიზიტის შემდეგ; პრაქტიკულად, პატიმრები ძირითადად დამოკიდებულნი იყვნენ ოჯახების გამოგზავნილ საკვებზე. ასევე, როგორც 2001 წელს, პატიმრები არ ღებულობდნენ პირადი ჰიგიენის საგნებს და დაწესებულებაში არ იყო სამრეცხაო. საპატიმრომ უარი თქვა პასუხისმგებლობაზე, რომ მოემარაგებინა პატიმრები ქვეშაგებით და ბევრ პატიმარს ეძინა ნაფლეთებზე. (...)

75. 2004 წ. მაისის ვიზიტის დასასრულს გამართული მოლაპარაკებებისას, იუსტიციის მინისტრმა აღიარა, რომ მე-5 საპყრობილე ვერ აკმაყოფილებდა ძირითად სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ რუსთავის მე-6 საპყრობილის დასრულების შემდეგ. მანამდე, დაიგეგმა ქალთა და არასრულწლოვან პატიმართა გადაყვანა მე-5 საპყრობილედან თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებებში. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, თბილისის მე-5 და 1-ლი საპატიმროების შერწყმას უნდა შეემსუბუქებინა გადატვირთვა მე-5 საპატიმროში (1-ლ საპატიმროში პატიმართა რაოდენობის ზრდის ხარჯზე); თუმცა ეს მხოლოდ დროებითი ზომია.

2004 წ. 24 ივნისის წერილით, საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარდა ან გათვალისწინებული იყო თბილისის მე-5 საპატიმროზე დაკვირვების შედეგად. პასუხის მიხედვით, სარდაფის საკნების გამოყენებიდან ამოღება და დაწესებულების გადატვირთვის შემცირება მოხდებოდა რუსთავის ციხის გახსნის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ სამშენებლო სამუშაოები და პერსონალის დაქირავება-მომზადება დასრულდება 2005 წ. მარტს და ახალი ციხე გაიხსნება 2005 წ. აპრილში. ასევე, დაინიშნა დამატებითი პერსონალი, რათა პატიმრებს ჰქონდეთ საშუალება სრულად ისარგებლონ რეჟიმით (რეგიმე აცტივიტიეს) (...)

კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყონებლივ მიიღოს ზომები, იმისათვის, რომ თბილისის მეხუთე საპყრობილეში:

- ყველა პატიმარს ჰქონდეს საკუთარი საწოლი;
- მოიხსნას რკინის დარაბები, რომლებიც ბლოკავენ საკნების ფანჯრებს, რათა არსებობდეს ბუნებრივი განათება და ადეკვატური ვენტილაცია.“

37. სისხლის სამართლის საერთაშორისო რეფორმის თბილისი ბიუროს 2005 წ. მოხსენება

ყველა საკანს საქართველოს ყველა საპრობილეში აქვს საშუალო ზომის ფანჯარა. ფანჯარას აქვს გისოსები და რკინის დარაბა გარედან, რომელიც ხელს უშლის მზის შუქის შეღწევას საკანში. სხვა სიტყვებით, ქართველ პატიმართა საკნებში მუდმივად დამეა. რკინის დარაბები ასევე ხელს უშლის საკნის ვენტილაციას. დგას ობის სუნი, რადგან არ მუშაობს სავენტილაციო მილები (მილები გაჭედულია მტვრის სქელი ფენით, რომელიც არ გაწმენდილა წლების განმავლობაში) და ფანჯრებიდან არ შემოდის ჰაერი დარაბების გამო. საკნები ნიავედება დღეში ერთი საათის განმავლობაში, როდესაც პატიმრები გარეთ გადიან სავარჯიშოდ. რა თქმა უნდა, ერთი საათი არ არის საკმარისი ვენტილაციისათვის. ერთადერთი გამონაკლისია ქსნის მე-5 საპრობილე, რომელიც გაიხსნა 2004 წ. ივნისში და სადაც ფანჯრები არ არის დაფარული რკინის დარაბებით გარედან.

(...) ბუნებრივი განათების და ვენტილაციის თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობაა სასჯელაღსრულების იმ დაწესებულებებში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ ბარაკებში, რომლის ფანჯრებს არ აქვთ არც გისოსები და არც რკინის დარაბები. (...)

ჰიგიენის პირობები არ არის დაცული დაწესებულებათა სასადილოებში. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ის პატიმრები, რომელთაც შეუძლიათ საკვები პროდუქტების ამანათებით მიღება, არ ჭამენ დაწესებულებებში მომზადებულ საჭმელს. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჰიგიენური პირობების“ რეგულაციის მიხედვით, დაწესებულების სამედიცინო მომსახურების ერთეული ამოწმებს და აკონტროლებს ჰიგიენურ პირობებს სასადილოში და ყველა სხვა შენობაში. მიუხედავად ამისა, დაწესებულებათა უმეტესობაში ეს დებულება ირღვევა. (...)

მნიშვნელოვანი პრობლემაა პატიმართა მოთავსება თბილისის 1-ლ დაკავების დაწესებულებაში (დეტენტიონ ფაცილიტე), სადაც პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღარაა ტევადობას. ეს იწვევს საკნების გადატვირთვას – თითოეულ საკანში 10–15 პატიმარია, რაც გულისხმობს, რომ პატიმრებს ძინავთ ცვლებში. ამ საკნებში ჰაერის ხარისხს კიდევ უფრო აუარესებს სავენტილაციო სისტემის არარსებობა. კიდევ უარესია სანიტარული პირობები, რადგან წყალსადენები თავად საკნებშია.

სამართალი

1. მთავრობის პოზიცია განმცხადებლის წარმომადგენელთა რწმუნებულებების ნამდვილობასთან დაკავშირებით

ა). მხარეთა არგუმენტები

38. 2006 წ. 28 მარტს, მთავრობის მიმოხილვის საპასუხოდ სასამართლოში წარდგენილ მიმოხილვაში, რომელსაც თან დაერთო სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა, მომჩივანმა ქ-ნი მ. კობახიძე თავის მეოთხე წარმომადგენლად დანიშნა. 2006 წ. 25 აპრილის დამატებით მიმოხილვაში, მთავრობამ ექვექვემ დააყენა აღნიშნული წარმომადგენლობის ნამდვილობა. კერძოდ, მან მიიჩნია, რომ 2007 წ. 28 მარტს, განმცხადებლის მიერ მ. კობახიძისთვის მინიჭებულ რწმუნებულებაზე გაკეთებული ხელმოწერა პრიმა ფაციე არ იყო სამი სხვა წარმომადგენლის რწმუნებულებაზე გაკეთებული ხელმოწერის მსგავსი. უფრო მეტიც, დანარჩენი სამი რწმუნებულება შევსებული იყო რა რუსულ ენაზე, მთავრობამ მიიჩნია, რომ ქ-ნი მ. კობახიძის სახელზე რწმუნებულება შედგენილი იყო ინგლისურ ენაზე, რაც

შეუძლებელია განმცხადებლის მიერ პირადად ყოფილიყო შევსებული. ზემოხსენებული მოსაზრებების გამო, მთავრობა ასკვნის, რომ ქ-ნ მ. კობახიძის მიერ წარმოდგენილი რწმუნებულება ფალსიფიცირებული იყო და აღნიშნული ასევე ეჭვქვეშ აყენებდა სამი დანარჩენი წარმომადგენლის სახელზე შედგენილი რწმუნებულებების ნამდვილობას.

39. გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის მიერ ქ-ნ. ლ. მუხაშავერიას სახელზე გაცემულ რწმუნებულებაზე არსებული ხელმოწერა განსხვავდებოდა, ქალბატონების, მ. გიოშვილისა და თ. გაბისონიას სახელზე გაცემულ რწმუნებულებებზე გაკეთებული ხელმოწერებისაგან. რაც შეეხება აღნიშნულ ორ რწმუნებულებაზე გაკეთებულ ხელმოწერას, მთავრობა დაეთანხმა იმას, რომ ისინი ერთ პიროვნებას ეკუთვნის.

40. დაბოლოს, მთავრობა ამტკიცებს, რომ ქალბატონების, მ. გიოშვილისა და თ. გაბისონიას მიერ რწმუნებულებებზე გაკეთებული ხელმოწერები განსხვავდებოდა განმცხადებლის 2006 წ. 28 მარტის მიმოხილვაზე გაკეთებული ხელმოწერებისაგან. მთავრობის თანახმად, აღნიშნული იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ზემოხსენებული დოკუმენტის ჩაბარებისას, ორი ადვოკატი განმცხადებლის ნების შესაბამისად არ მოქმედებდა.

41. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს საქმის განხილვის დაწყებამდე თითოეული საკამათო ხელმოწერის ნამდვილობის დადგენა და მათი ფალსიფიკაციის შემთხვევაში, საჩივარის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოღება ან იმის დადგენა, რომ 2006 წ. 28 მარტს, მომჩივანს სათანადო წესების დაცვით არ წარუდგენია მიმოხილვა სასამართლოსთვის.

42. პასუხად, 2006 წ. 18 სექტემბერს, მომჩივანმა სასამართლოს გაუგზავნა პირადად მისი, მ. გიოშვილისა და თ. გაბისონიას მიერ ხელმოწერილი წერილი. ორივე ადვოკატი ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის მიმოხილვაზე და თანდართულ სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნაზე მათი ხელმოწერები იყო გაკეთებული და რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, ისინი მათი კლიენტის სურვილის შესაბამისად მოქმედებდნენ. მომჩივანი და მისი ადვოკატები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ქ-ნ მ. კობახიძის სახელზე გაცემული სადავო რწმუნებულება ნამდვილი იყო. ის ფაქტი რომ დოკუმენტის შედგენა მოხდა ინგლისურ და არა რუსულ ენაზე, როგორც წინა შემთხვევებში, არ წარმოადგენდა მისი ნამდვიობის ეჭვქვეშ დაყენების დაფუძველს. მომჩივანი ინფორმირებულ იქნა ინგლისურ ენაზე შედგენილი რწმუნებულებების შინაარსის თაობაზე, რომელსაც მან რუსულად მოაწერა ხელი.

43. განმცხადებლის 2006 წ. 18 სექტემბრის აღნიშნული პასუხი ეცნობა მთავრობას, რომელსაც კომენტარები არ გაუკეთებია.

ბ) სასამართლოს შეფასება

44. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ მისთვის 2003 წ. 31 ოქტომბერს წარდგენილ საჩივარზე არის ქალბატონების, ლ. მუხაშავერიას, მ. გიოშვილისა და თ. გაბისონიას ხელმოწერები. მომჩივანმა იმავე კონვერტით წარადგინა მისი თითოეული ადვოკატის სახელზე ცალკე გაცემული სამი რწმუნებულება. აღნიშნული რწმუნებულებები შედგენილია რუსულ ენაზე, ხელმოწერილია რუსულად განმცხადებლის მიერ და ქართულად ადვოკატების მიერ.

45. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის ეჭვს, რომელიც ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ამტკიცებს, რომ მ. კობახიძის სახელზე გაცემული 2006 წ. 27 მარტის რწმუნებულებაზე გაკეთებული განმცხადებლის განსხვავებული ხელმოწერა ეჭვქვეშ აყენებს დანარჩენი სამი რწმუნებულების ავთენტურობას. მთავრობა ვერ ხედავს კავშირს ამ ორ მოსაზრებას შორის. გარდა ამისა, მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, სასამართლოს არ გამოუვლენია განსაკუთრებული განსხვავება ლ. მუხაშავერიას სახელზე გაცემულ რწმუნებულებაზე გაკეთებულ განმცხადებლის ხელმოწერასა და მ. გიოშვილისა და თ. გაბისონიას სახელზე გაცემულ რწმუნებულებებზე გაკეთებულ ხელმოწერებს შორის.

46. რაც შეეხება განმცხადებლის 2006 წ. 28 მარტის მიმოხილვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ის ხელმოწერილია არა მხოლოდ მ. კობახიძის მიერ, რომლის სტატუსსაც მთავრობა ეჭვქვეშ აყენებს, არამედ, ასევე თ. გაბისონიას მიერ. ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ იქნა განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი სურვილის შესაბამისად, არ ბადებს ეჭვის საფუძველს. ამასთანავე, სასამართლო საკვირველად არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ რწმუნებულებაზე თ. გაბისონიას მიერ გაკეთებული ხელმოწერა განსხვავდება 2006 წ. 28 მარტის მიმოხილვაზე გაკეთებული ხელმოწერისაგან, ვინაიდან პირველი ხელმოწერა ქართულადაა, ხოლო მეორე ინგლისურად.

47. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წ. 18 სექტემბერს, მომჩივანმა პირადად და ნათლად საჩივარა, რომ ქალბატონები თ. გაბისონია და მ. კობახიძე და იყვნენ და აგრძელებდნენ მის წარმომადგენლობას სასამართლოს წინაშე და რომ ისინი ყოველთვის მისი ნების შესაბამისად მოქმედებდნენ (*cf. Chamaïev et autres, précité, § 309 ; mutatis mutandis, Öcalan c. Turquie (déc.), n° 46221/99, 14 décembre 2000 et Ergi c. Turquie, arrêt du 28 juillet 1998, Recueil des arrêts et décisions 1998-IV, pp. 1769-1771, §§ 60-64*).

48. აღნიშნულ განცხადებაზე მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

49. ასეთ პირობებში, სასამართლოს არა აქვს იჭვის არავითარი საფუძველი იმის შესახებ, რომ მისთვის წარდგენილი საჩივარი შედგენილ იქნა განმცხადებლის მიერ კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსათვის ინდივიდუალური საჩივართ მთავრობის უფლების სრული გამოყენებით და რომ მომჩივანი სასამართლოს წინაშე შესაბამისად იყო წარმოდგენილი მისი ოთხი ადვოკატის მიერ, რომელთაგან, მ. კობახიძემ თავისი საქმიანობის განხორციელება დაიწყო 2006 წ. 27 მარტს და ლ. მუხაშავერიამ საქმიანობის განხორციელება შეწყვიტა 2007 წ. 15 თებერვალს.

50. შესაბამისად, მთავრობის არგუმენტი რწმუნებულებათა ნამდვილობის შესახებ, დაუშვებელია.

II. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით

მომჩივანი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

ა. პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით

52. 2003 წ. 31 ოქტომბერს, სასამართლოსთვის მიმართვის დროს, მომჩივანი ჩიოდა რომ თბილისის მე-5 საპყრობილეში არსებული პატიმრობის პირობები კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. კერძოდ მომჩივანი, 35 სხვა პატიმართან ერთად, მოთავსებულ იქნა 24 პატიმარზე გათვლილ საკანში. აღნიშნული გადატვირთულობის გამო, პატიმრები იძულებულები იყვნენ, რიგრიგობით დაეძინათ. მომჩივანი საკანს ბინძურსა და ნესტიანს უწოდებდა და ჰაერის მუდმივ უკმარისობას უჩიოდა.

1. დასაშვებობა

ა) მხარეთა არგუმენტები

53. მთავრობა ამტკიცებს, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, ვინაიდან მან არ გამოიყენა “პატიმრობის შესახებ” კანონის 26-ე და 33-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებები, რათა *“წამოეყენებინა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საკითხი და მიეღო ადეკვატური კომპენსაცია”*.

54. აღნიშნულის საპასუხოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მას არ მოუთხოვია ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რადგან ეს მის მდგომარეობას არ გააუმჯობესებდა. განმცხადებლის თანახმად, პატიმრობის პირობები ერთნაირად მძიმე იყო საქართველოს ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ამასთანავე, მისი საჩივრის შედეგად პატიმრობის პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ეს მანამდე არსებულ მისი უფლებების დარღვევას არ გამოასწორებდა. რაც შეეხება მთავრობის მიერ მოყვანილ, “პატიმრობის შესახებ”

კანონის 26-ე და 33-ე მუხლებს, მომჩივანი თვლის რომ ისინი არ წარმოადგენს მიმართვის ეფექტურ საშუალებას, კონვენციის 35-ე მუხლის გაგებით.

ბ) სასამართლოს შეფასება

55. მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს უნდა გააჩნდეს ხელმისაწვდომი და საკმარისი საშუალებები იმისათვის, რომ მან მიაღწიოს მის მიერ გაპროტესტებული დარღვევის შედეგების გამოსწორებას. აღნიშნული საშუალებები უნდა არსებობდეს სარწმუნოების საკმარის დონეზე როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, რის გარეშეც მათ აკლია სასურველი ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა (*Kalachnikov c. Russie* (déc.), n° 47095/99, CEDH 2001-XI (extraits) ; *Akdivar et autres c. Turquie*, arrêt du 16 septembre 1996, *Recueil* 1996-IV, § 66 ; *Riad et Idiab c. Belgique*, n°s 29787/03 et 29810/03, § 61, CEDH 2008-... (extraits)).

56. თუმცა, არაფერი არ აკისრებს მიმართვის ისეთი საშუალებების გამოყენების ვალდებულებას, რომლებიც არც ადეკვატურია და არც ეფექტური (*Vincent c. France*, n° 6253/03, § 81, 24 octobre 2006). ამასთანავე, “საერთაშორისო სამართლის საყოველთაო აღიარებული პრინციპების” მიხედვით, ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება ათავისუფლებს მომჩივანს მის ხელთ არსებული მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისაგან. აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მდგომარეობს კონვენციით აკრძალული აქტების განმეორებასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული აქტების შემწყნარებლობაში, ისე, რომ ყოველგვარი პროცედურა არაეფექტური და აზრს მოკლებულია (*Akdivar et autres, précité*, § 67 ; *Aksoy c. Turquie*, arrêt du 18 décembre 1996, *Recueil* 1996-VI, § 52).

57. ევროპული კონვენციის 35-ე მუხლი (§1) ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილებას. მთავრობა, რომელიც იყენებს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებულ არგუმენტს, ვალდებულია, დაარწმუნოს სასამართლო იმაში, რომ ფაქტების დადგომის დროს, მიმართვის საშუალებები იყო ეფექტური და ხელმისაწვდომი როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში, ანუ საშუალებას აძლევდა მომჩივანს, რომ მასი პრეტენზიები დაკმაყოფილებულიყო და მას ჰქონოდა წარმატების გონივრული პერსპექტივები (*Vincent*, ხსენებული ზემოთ, §82). თუმცა, როგორც კი აღნიშნული დამტკიცდება, უკვე მომჩივანს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალება ნამდვილად იქნა გამოყენებული ან, რაიმე მიზეზის გამო, არ იყო ადეკვატური და ეფექტური, საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ან რომ ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება მას ათავისუფლებდა აღნიშნული ვალდებულებისაგან (*Akdivar, précité*, §68 ; *Selmouni c. France* [GC], n° 25803/94, § 76, CEDH 1999-V).

58. რაც შეეხება მოცემულ საქმეს, სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი, “პატიმრობის შესახებ” კანონის 26-ე და 33-ე მუხლები ეხება „მსჯავრდებულებს“ (იხ. აგრეთვე იმავე კანონის I მუხლის „ი“ პუნქტი, ასევე სსსკ-ის 44-ე მუხლის 26-ე პუნქტი). ამრიგად, „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის პირველი ბუნქტის „ბ“ აბზაცის თანახმად, ნებისმიერ „მსჯავრდებულს“ შეუძლია გაასაჩივროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო ქმედება. თუმცა, მომჩივანი, 2004 წ. 14 აპრილამდე იყო რა „ბრალდებული“, სსსკ-ის 44-ე მუხლის 24-ე პუნქტის მნიშვნელობით (იხ. ზემოთ, §§ 26 და 32), სასამართლო არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი მუხლები საქმეში წამოყენებულ პრეტენზიებთან მიმართებაში საჭირო დებულებებს წარმოადგენს.

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის სხვა დებულებები ეხება „ბრალდებულების“ პატიმრობის პირობებს. კერძოდ, საქმე ეხება აღნიშნული კანონის XVII თავს (იხ. ზემოთ, § 33). თუმცა, აღნიშნულ თავში არაფერი არ ადასტურებს იმას, რომ „მსჯავრდებულის“ მსგავსად, „ბრალდებულს“ შეუძლია საჩივრის შეტანა ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ კანონის 86-ე მუხლის I პარაგრაფის გამოყენებით, რომელიც მოითხოვს „ბრალდებულის“ პატიმრობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ნორმებთან შესაბამისობას, მომჩივანს შეეძლო, ანალოგიურად გამოეყენებინა 26-ე მუხლის I პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც „მსჯავრდებულების“ მიმართ გამოიყენება, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი დებულება საკმარისად ნათელი და ზუსტი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყო. მის მიერ მინიჭებული უფლების ეფექტური განხორციელება. კერძოდ, თუ ნათელია, რომ საჩივრის შეტანა შესაძლებელია პატიმრის მიერ, ციხის ადმინისტრაციის უკანონო ქმედების წინააღმდეგ, აღნიშნული საჩივრის ადრესატი უცნობია. ამრიგად, უცნობია, საქმე ეხება ადმინისტრაციულ, იერარქიულ, სასამართლო თუ სხვა სახის საჩივარს. ასევე დაუზუსტებელია, რა შეიძლება იყოს საჩივრის საგანი და შეიძლება თუ არა, ის ეხებოდეს არაადამიანურად და დამამცირებლად მიჩნეულ პატიმრობის პირობებს.

60. მთავრობას არ წარმოუდგენია ელემენტები, რომლებიც გააქარწყლებდა ეჭვებს და არ დაუზუსტებია თუ რომელი უწყებისათვის უნდა მიემართა საჩივრით მომჩივანს მისი პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით. მთავრობა შემოიფარგლა მხოლოდ განმცხადებლისთვის იმის თქმით, რომ მას არ შეუტანია საჩივარი პატიმრობის შესახებ კანონის 26-ე და 33-ე მუხლების გამოყენებით, რათა „დაეყენებინა საკითხი“, რომელიც მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას ეხებოდა და „მიეღო ადეკვატური კომპენსაცია“, აღნიშნული არგუმენტის წამოწევისას, მთავრობას არ მოუყვანია პატიმრის მიერ ამ კუთხით შეტანილი საჩივრის მაგალითი, არც სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება წარმოუდგენია, რომელიც მიღებული იქნებოდა მსგავსი სახის საჩივართან დაკავშირებით.

61. მთავრობის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ სასამართლო ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მსგავსი სახის მიმართვის საშუალება პრაქტიკაში არსებობდა.

62. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საჩივრის შეტანა შეცვლიდა განმცხადებლის მიერ გაპროტესტებულ სიტუაციას. ირკვევა, რომ ფაქტების დადგომის დროისთვის, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადატვირთული იყო (იხ. ზემოთ, §§ 35 და 36). მთავრობას, თავის მხრივ, არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რა ცვლილების იმედი შეიძლება ჰქონოდა, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია სტრუქტურულ პრობლემებზე, რომლებიც მთლიანობაში სასჯელაღსრულების სისტემას ეხებოდა (*cf.*, *Mamedova c. Russie*, n° 7064/05, § 57, 1^{er} juin 2006; *Kalachnikov, décision précitée*).

63. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ არც მთავრობის არგუმენტაცია და არც შესაბამისი შიდა სამართალი არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გამოიყენებოდა განმცხადებლის მიმართ ფაქტების დადგომის დროისთვის და რომ მიმართვის საშუალება „ეფექტური“ იყო იმ თვალსაზრისით, რომ მას შეეძლო, ხელი შეეშალა დარღვევის გაგრძელებისთვის ან განმცხადებლისთვის მიეცა მომხდარი დარღვევის შესაბამისი გამოსწორების მიღწევის საშუალება (*Moisseïev c. Russie (déc.)*, n° 62936/00, 9 décembre 2004 ; *mutatis mutandis, Kudła c. Pologne* [GC], n° 30210/96, §158, CEDH 2000-XI).

64. მთავრობის არგუმენტი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის შესახებ, უარყოფილ უნდა იქნას. არ არსებობს განმცხადებლის პრეტენზიების დაუშვებლად ცნობის სხვა მოტივი. აქედან გამომდინარე, ისინი დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

2. არსებითი მხარე

ა) მხარეთა არგუმენტაცია

65. მთავრობა მიიჩნევს, რომ პატიმრობის პირობები არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კონვენციის მე-3 მუხლთან. მას მოჰყავს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2005 წ. 13 დეკემბრის წერილი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან 2003 წ. 6 სექტემბერს დაბრუნებასა და ციხიდან 2005 წ. 6 იანვარს გათავისუფლებას შორის პერიოდში, მომჩივანი იმყოფებოდა თბილისის პირველი საპყრობილის მე-17 საკანში 10 სხვა პატიმართან ერთად. აღნიშნული წერილი არ აზუსტებს, რამდენ პატიმარზე იყო გათვალისწინებული აღნიშნული საკანი და პატიმრობის როგორ პირობებში იმყოფებოდა იქ განმცხადებელი.

66. სახელმწიფო წარმომადგენელი, თავის მხრივ, ინფორმაციის წყაროს დასახელების გარეშე, ამტკიცებს, რომ თბილისის პირველი საპყრობილის მე-17 საკანს 12 პატიმრის დატევა შეეძლო, რომ საკანი აღჭურვილი იყო დანარჩენი

სივრცისაგან განცალკევებული ტუალეტით, რომ საკანი ნიავედებოდა საშუალო ზომის ფანჯრის მეშვეობით, რომლითაც ასევე დღის სინათლე შედიოდა საკანში.

67. მომჩივანი მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტი სინამდვილეს არ შეესაბამება და ამ საკითხთან დაკავშირებით აქცენტს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო რეფორმის მოხსენებებზე აკეთებს, რომელთა წარმომადგენლებმაც ფაქტების დადგომის პერიოდში მონიხულეს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები (იხ. ზემოთ §§ 35-37). ის აზუსტებს, რომ პირველ საპრობილემში არსებული პატიმრობის პირობები არანაირად არ იყო საქართველოს არცერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ პირობებზე უკეთესი.

68. მომჩივანი ასევე იმეორებს, რომ მას უხდებოდა რიგ-რიგობით დამინება სხვა თანამოსაკნეებთან ერთად, რომელთა რაოდენობა საკნის შესაძლებლობებს 10-დან 15-მდე აღემატებოდა. საკანი ბინძური იყო, სხვა პატიმრები ეწეოდნენ და არც ვენტილაცია არსებობდა. მომჩივანს ჟანგბადის მუდმივი უკიმარისობა აწუხებდა.

69. მომჩივანი ასეთივე პირობებში იქნა მოთავსებული მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან დაბრუნების შემდეგაც, სადაც ის გულის პრობლემების გამო იმყოფებოდა.

70. მომჩივანი ასევე უჩივის მე-5 საპრობილის საკვების ცუდ ხარისხს. განმცხადებლის თანახმად, პატიმრები მხოლოდ ძალიან იშვიათად იღებდნენ ხორცს, თევზსა და შაქარს. პატიმრების მიერ მომზადებული საჭმლის ჭამა კი ხშირად შეუძლებელი იყო.

ბ) სასამართლოს შეფასება

71. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას (იხ. სხვათა შორის, *Ostrovar c. Moldova*, n° 35207/03, § 79, 13 septembre 2005 ; *Kafkaris c. Chypre* [GC], n° 21906/04, § 96, CEDH 2008-...). პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად და პატიმრობის გონივრული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა (*Sakkopoulos c. Grèce*, n° 61828/00, § 38, 15 janvier 2004 ; *Kudła*, précité, § 94). ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწყოს თავისი პენიტენციური სისტემა, რომ უზრუნველყოს პატიმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა (*Soukhovoy c. Russie*, n° 63955/00, § 31, 27 mars 2008 ; *Benediktov c. Russie*, n° 106/02, § 37, 10 mai 2007).

72. სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მფარველობის ქვეშ მოსახვედრად, მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის მინიმალურ

ზღვარს.“ ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, (*Labita c. Italie*, arrêt du 6 avril 2000, *Recueil* 2000-IV, § 120), კერძოდ, მოპყრობის კონტექსტსა და ხასიათზე, ასევე მის ხანგრძლივობაზე, მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე და ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. (*Price c. Royaume-Uni*, n° 33394/96, § 24, CEDH 2001-VII ; *Mikadzé c. Russie*, n° 52697/99, § 108, 7 juin 2007). აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების მიზნით, სასამართლო იღებს ისეთ კრიტერიუმს, რომელიც „ყოველგვარ გონივრულ ფარგლებში არსებულ ეჭვს სცილდება.“ (იხ. სხვათა შორის, შამაევი, § 338).

73. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას, პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ მისდამი მიმართვის დროს, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ის თბილისის მე-5 საპყრობილეში იმყოფებოდა. მთავრობას ეს არ გაუპროტესტებია, მაგრამ თავის მიმოხილვაში იგი ამ დაწესებულებას ხან პირველ საპყრობილედ მოიხსენიებს და ხან მე-5 საპყრობილედ. სამთავრობო მიმოხილვაზე თანდართულ და სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის დოკუმენტებში, აღნიშნული დაწესებულება ასევე მოხსენიებულია, დოკუმენტის თარიღის შესაბამისად, როგორც პირველი საპყრობილე ან როგორც მე-5 საპყრობილე. მსგავსი ცვალებადობა შეინიშნება ასევე განმცხადებლის 2003 წ. 31 ოქტომბრის შემდგომ არგუმენტებში (იხ. ზემოთ, §§ 65-67 და 70).

74. სასამართლო მაინც არ მიიჩნევს, რომ ეს განსხვავებები ეჭვქვეშ აყენებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის მიერ მოცემულ საქმეში გასაჩივრებული პატიმრობის პირობები ეხება დაწესებულებას, რომელსაც 2004 წ. 1 თებერვლამდე „თბილისის მეხუთე საპყრობილე“ ერქვა. 2003 წ. 8 სექტემბრის მინისტრის ბრძანებულებით, რომელიც ძალაში 2004 წ. 1 თებერვალს შევიდა, მე-5 საპყრობილე, როგორც ასეთი, გაუქმდა პირველ საპყრობილესთან – მიმდებარე დაწესებულებასთან გაერთიანების მიზნით. ორი საპყრობილის აღნიშნული გაერთიანების პროცესი 2005 წ. 7 ოქტომბრამდე გაგრძელდა (იხ. ზემოთ, §§ 34-36). როგორც საქმეში არსებული სხვადასხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, 2003 წ. 6 სექტემბერს, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან დაბრუნების შემდეგ, მომჩივანი იმავე, №17 საკანში იქნა მოთავსებული, მის გათავისუფლებამდე, 2005 წ. 6 იანვრამდე. მისი პატიმრობის ადგილს ჯერ მე-5 საპყრობილე ერქვა, ხოლო შემდეგ, პირველი საპყრობილე, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო პირველ ტერმინს გამოიყენებს.

75. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა არგუმენტები განმცხადებლის თბილისის მე-5 საპყრობილის №17 საკანში არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, დიამეტრალურად განსხვავდება.

76. კერძოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მის საკანში მყოფი პატიმრების რაოდენობა საკნის შესაძლებლობებს 10-დან 15-მდე აღემატებოდა (იხ. ზემოთ, §§ 52-68) და რომ მას არ ჰქონდა პირადი საწოლი. მომჩივანი ასევე ამტკიცებს, რომ საკანი ბინძური და ნესტიანი იყო და არ ხდებოდა მისი განთავსება, რათა მას ნორმალურად სუნთქვის საშუალება მისცემოდა.

77. რაც შეეხება მთავრობას, მას მოჰყავს სასჯელაღსრულების კომპეტენტური უწყების წერილი, რომლის მიხედვითაც, 2003 წ. 6 სექტემბრიდან 2005 წ. 6 იანვრამდე, მომჩივანი იმყოფებოდა №17 საკანში 10 სხვა პატიმართან ერთად. თუმცა, წერილს არ აქვს თანდართული შესაბამისი დაწესებულების ჟურნალის ასლები, რომლებიც დაადასტურებდა აღნიშნული არგუმენტების სისწორეს. შესაბამისი სასჯელაღსრულების უწყება ასევე არ მიუთითებს, რამდენი პატიმრის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა საკანს და არც რაიმე დოკუმენტურ მტკიცებულებაზე უთითებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ის არც იმაზე მიუთითებს, იყო თუ არა საკანი საკმარისად განიავებული და მოვლილი.

78. სახელმწიფო წარმომადგენელი, განსაკუთრებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე, თავის მხრივ აცხადებს, რომ თბილისის პირველი საპყრობილის მე-17 საკანს 12 პატიმრის დატევა შეეძლო. ის ასევე ამტკიცებს, რომ საკანი აღჭურვილი იყო დანარჩენი სივრცისაგან „ნაწილობრივ განცალკევებული“ ტუალეტით, რომ საკანი ნიავდებოდა საშუალო ზომის ფანჯრის მეშვეობით, მისი ზუსტი ზომების დაკონკრეტების გარეშე.

79. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ჩნდება კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა „ნაწილობრივ განცალკევებულ“ ტუალეტებს უზრუნველყო განმცხადებლისთვის რეალურად ინტიმური გარემოს შექმნა (*Kalachnikov c. Russie*, n° 47095/99, § 99, CEDH 2002-VI et, *a contrario, Valašinas c. Lituanie*, n° 44558/98, § 104, CEDH 2001-VIII) და ამრიგად, შეესაბამებოდა თუ არა ისინი კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. რაც შეეხება დანარჩენს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტი არც სათანადოდ დასაბუთებულია და არც დოკუმენტურად დადასტურებული. ის არც სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებებითაა გამყარებული.

80. კერძოდ, განმცხადებლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ის იძულებული იყო სხვა პატიმრებთან ერთად, მორიგეობით დაეძინა, არ არის საფუძველს მოკლებული. 2002 წ. 25 ივლისსა და 2005 წ. 30 ივნისს გამოქვეყნებული წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენებებში არსებული დასკვნები (იხ. ზემოთ, §§ 35 და 36), სასამართლოს აზრით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, საიმედო ინფორმაციას შეიცავს (*Dougoz v. Greece*, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II ; *Kehayov c. Bulgarie*, n° 41035/98, § 66, 18 janvier 2005 ; *Ostrovar*, précité, § 80). აღნიშნული მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს, თბილისის მე-5 საპყრობილე ძალიან იყო გადატვირთული და რომ, როგორც მიწისქვეშა, ისე მიწის ზედა სართულებზე განლაგებული მისი საკნები იყო ბინძური, ნესტიანი და დაზიანებული. აღნიშნული სიტუაცია სერიოზულად დამძიმდა 2003 წ. ბოლოს, ვინაიდან, საქართველოს ციხეებში პატიმრების რაოდენობა 4 თვის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის თანახმად, მე-5 საპყრობილის გადატვირთულობის დონემ „საგანგაშო“ ზღვარს მიაღწია. აქედან გამომდინარე, სადაც არ უნდა მდებარობდეს №17 საკანი, მიწისქვეშა ნაწილში (რომელიც ჯერ დაიხურა, ხოლო შემდეგ ისევ ამუშავდა, პატიმართა რაოდენობის სწრაფი მატების გამო) თუ მიწის ზედა ნაწილში, არსებული სივრცე ვერ იქნებოდა საკმარისი და

არსებობს დიდი ალბათობა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა პირადი საწოლი, რათა ნორმალურად დაძინება შესძლებოდა (იხ. ზემოთ, §§ 35 და 36).

81. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ საპრობილემში, ფანჯრებს გაკეთებული ჰქონდა რკინის გისოსები, რომლებიც ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა რომლითაც მოხდებოდა ჰაერის უკმარისობის ანაზღაურება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წ. რეკომენდაციის მიუხედავად, არ მომხდარა რკინის გისოსების დემონტაჟი და ისინი კვლავ რჩებოდა ფანჯრებზე კომიტეტის შემდეგომი ვიზიტების დროს, 2003 და 2004 წლებში. მმთავრობამ ეს ფინანსების უქონლობით ახსნა.

82. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხვა დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საყოველთაო დაზიანების, სიბინძურისა და ნესტიანობის პირობებში, განმცხადებლის საკანი წარმოადგენდა გამონაკლის თბილისის მე-5 საპრობილემში და რომ დანარჩენი საკნებისგან განსხვავებით, ის სათანადოდ განიავებული, განათებული და მოვლილი იყო. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია არც აღნიშნული საკნის ფოტოები, არც ტექნიკური მონაცემები საპირისპიროს დამტკიცების მიზნით. არადა, აღნიშნულ პერიოდში, თბილისის მე-5 საპრობილემში კიდევ იყო შესაძლებელი ფოტოების გადაღება, ეს საპრობილე დანგრეულ იქნა 2008 წ. მარტში, მისი უკიდურესი სიძველისა და იქ არსებული მძიმე პირობების გამო (ამ საპრობილის მდგომარეობასთან დაკავშირებით, იხილეთ აგრეთვე, შამაევი, § 150).

83. სასამართლოს შეხედულებით, მის ხელთ არსებული მტკიცებულებები მას საშუალებას აძლევს, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა“ მიიჩნიოს, რომ მომჩივანი ნამდვილად იმყოფებოდა მის მიერ საჩივარში გაპროტესტებულ პატიმრობის პირობებში. კერძოდ, მას აწუხებდა საკუთარი საწოლის უქონლობა, ჰაერის მუდმივი უკმარისობა და სიბინძურე 1 წ.ა და 4 თვის განმავლობაში (*cf.*, par exemple, *Dougoz, précité*, §§ 47 et 48 ; *Mayzit c. Russie*, n° 63378/00, § 42, 20 janvier 2005 ; *Dorokhov c. Russie*, n° 66802/01, § 57, 14 février 2008), მაშინაც კი, როდესაც მას აწუხებდა გულის პრობლემები და ასთმა (იხ. ზემოთ, §§ 24 და 25). სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა განმცხადებელს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.

84. ამიტომ, განმცხადებლის მინართ ადგილი აქვს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ბ. 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამის მოვლენების შესახებ

85. ეყრდნობა რა კონვენციის მე-3 მუხლს, განმცხადებელი თავს მიიჩნევს მის საკანში, 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს მომხდარი მოვლენების მსხვერპლად. კერძოდ, ის ამტკიცებს, რომ მისი მოქმედება აუცილებელს არ ხდიდა მის წინააღმდეგ ძალიან გამოყენებას. მომჩივანი ხაზს უსვამს, რომ ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება მას არ ეხებოდა და აცხადებს, რომ მას, სხვა პატიმრების ექსტრადიციისთვის ხელის

შეშლის მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმის არავითარი საბაზი არ ჰქონია.

1. დასაშვებობა

ა) მხარეთა არგუმენტები

86. მთავრობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრეტენზიით სასამართლოსთვის მიმართვამდე, მომჩივანს უნდა ამოეწურა მიმართვის საშუალებები, რომლებიც მას მინიჭებული ჰქონდა პატიმრობის შესახებ კანონის მე-9 მუხლითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლებით. თუმცა, მომჩივანს არც ბრალის წაყენებამდე და არც მას შემდეგ არ გაუსაჩივრებია ხსენებულ დამეს მისთვის სავარაუდოდ მიყენებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები და არცერთ ეტაპზე არ მოუთხოვია გამოძიების ჩატარება.

87. მთავრობა სასამართლოს ყურადღებას ასევე მიაპყრობს იმ ფაქტზე, რომ 2002 წ. 4 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები მსუბუქ დაზიანებათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მის ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებდა. არც 2002 წ. ნოემბრის ექსპერტიზას გამოუვლენია, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული ძალა გადაჭარბებული იყო. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ხელთ არსებული არცერთი მტკიცებულება არ ამართლებდა გამოძიების დაწყებას გამნცხადებლის მიერ შეტანილი საჩივრის გარეშე.

88. ამის საპასუხოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისთვის ბრალის წაყენება 2002 წ. 3-4 ოქტომბრის დამეს მოვლებთან დაკავშირებით, მისთვის შეუძლებელს ხდიდა მოეთხოვა იმავე ფაქტების პარალელური გამოძიების ჩატარება. ის შეახსენებს, რომ ხსენებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, მას თავი დამნაშავედ არ უცვნია და გამუდმებით ამტკიცებდა, რომ თავს არ დასხმია ხელისუფლების წარმომადგენლებს., რაც ამართლებდა გამოძიების დაწყებას, მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

89. მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობის მიერ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ ამოწურვის ტაობაზე წამოყენებული პრეტენზია არსებით ნაწილში უნდა გაერთიანდეს 2002 წ. 3-4 ოქტომბრის დამეს, სავარაუდოდ განცდილ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ პრეტენზიასთან, რომელთანაც ის მჭიდროდა არის დაკავშირებული. გარდა ამისა, სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული პრეტენზია წამოჭრის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც არსებით განხილვას საჭიროებს. რაკი არ არსებობს დაუშვებლობის სხვა მოტივი, აღნიშნული პრეტენზია დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

2. არსებითი განხილვა

ა) მხარეთა არგუმენტები

90. მთავრობა შეახსენებს, რომ № 88 საკნის ჩეჩენმა პატიმრებმა და მათ შორის, მომჩივანმაც, გადაწყვიტეს, არ მიცვათ მათი მეგობრების ექსტრადიციის საშუალება და ძალადობრივი წინაარმდეგობა გაუწიეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც 4 პირის ექსტრადიციის მიზნით, მათ წასაყვანად იყვნენ მისულები. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრები შლიდნენ საკანში არსებულ მოძრავ ნივთებს და რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მათი დამორჩილება, გამოძახებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი, რათა ამ უწყისრიგობისათვის ბოლო მოეღო. ამრიგად, საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლები და სპეცრაზმელები დაუპირისპირდნენ რკინის ნაჭრებით, საწოლისა და ონკანის ნაწილებით, ასევე, საკნის კედლიდან გამოღებული, ტანსაცმელში გახვეული აგურის ბასრი ნაჭრებით შეიარაღებულ პატიმრებს, მათ შორის, მომჩივანს. სპეცრაზმელები და ასევე საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლები დაიჭრნენ. როგორც კი მოხდა საკნიდან ყველა პატიმრის გამოყვანა, მომჩივანი იზოლირებულ იქნა.

91. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მთავრობა მიიჩნევს, რომ სახელწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენება ამ შემთხვევაში განპირობებული იყო პატიმრების, მათ შორის, განმცხადებლის მხრიდან ძალადობით და მიზნად ისახავდა მთელ საპყრობილეში უწყისრიგობის გავრცელების აღკვეთას. შედეგად, მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული ძალა გადაჭარბებული არ ყოფილა.

92. აღნიშნულის საპირისპიროდ, მომჩივანი თვლის, რომ მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალა გადამეტებული იყო. აღნიშნული არგუმენტის გასამყარებლად, ის, ერთის მხრის მიუთითებს გადაწყვეტილებაზე „შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“. მეორეს მხრივ, ის ამტკიცებს, რომ მას სახელმწიფოს წარმომადგენლებზე თავდასხმაში მონაწილეობის არავითარი პირადი ინტერესი არ ჰქონია, იმის გათვალისწინებით, რომ მან „2002 წ. აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადამკვეთი“ ჩეჩენი პატიმრების გარდაუვალი ექტრადიციის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. ვინაიდან არნიშნული მას არ ეხებოდა, მომჩივანს არ ჰქონია მისი ექსტრადირების შიში და შესაბამისად, არ შეიძლება, მას ნდომებოდა სხვების ექსტრადიციისთვის ხელის შეშლა. მომჩივანი ამტკიცებს, რომ როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკნის კარი გააღეს, მას ეძინა და არ იყო შეიარაღებული. მომჩივანი შეახსენებს, რომ თავდასხმაში მისი მონაწილეობა სასამართლოს მიერ მოსმენილი არცერთი მოწმის მხრიდან არ ყოფილა დადასტურებული და მისთვის მსჯავრის დადება მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩვენებებს ეფუძნებოდა, რომლებიც აცხადებდნენ რომ № 88-ე

საკნის „ყველა პატიმარმა“ აგრესიულობა გამოავლინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ.

93. რაც შეეხება მიყენებულ დაზიანებებს, სამთავრობო მიმოხილვის პასუხში მომჩივანმა დამატებით აღნიშნა, რომ მას დარტყმები მიაყენეს ხერხემალსა და სახეში, რამაც ერთი კბილის დაკარგვა გამოიწვია. გარდა ამისა, განმცხადებლის მტკიცებით, მას თავზე ელექტროშოკი დაადეს. იმისათვის, რომ ის საკნიდან გაეყვანათ, სპეცნაზის თანამშრომლებმა ის ძის დააწვინეს და ხელები ზურგსუკან გადაუგრიხეს და თან უმოწყალოდ ურტყამდნენ.

94. მთავრობა თვლის, რომ წინამდებარე საჩივარი სრულიად განსხვავდება შამაევის საქმისგან იმ თვალსაზრისით, რომ განმცხადებლის მიერ სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის გაწეული წინააღმდეგობა, ამ შემთხვევაში, გამოწვეული არ იყო ამ უკანასკნელთა ქმედებით (*შამაევი და სხვები*, ხსენებული ზემოთ, §380). ამგვარად, მთავრობა მომჩივანს საყვედურობს, რომ ის არ დაემორჩილა კანონიერ ბრძანებას, დაეტოვებინა საკანი მოუხედავად „სახელმწიფოს წარმომადგენლებზე თავდასხმაში მონაწილეობის ყოველგვარი პირადი ინტერესის არარსებობისა.“

95. და ბოლოს, მთავრობა აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანს უფრო ადრე დაკარგული კბილი და განცდილი ელექტროშოკი ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების მხოლოდ შემდგომ სტადიაზე გაახსენდა. მთავრობა შეახსენებს, რომ იყო რა წარმოდგენილი პროფესიონალი ადვოკატების მიერ შიდა სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაში, მომჩივანს არასდროს არ გაუპროტესტებია 2002 წ. 4 ოქტომბრისა და 2002 წ. ნოემბრის ექსპერტიზების ნამდვილობა. პირიქით, საჩივარში მან თავისი მსჯელობა აღნიშნულ ორ დასკვნაზე დააფუძნა და არცერთ მომენტში არ განუცხადებია ექსპერტიზის დასკვნებში მოცემული დაზიანებების გარდა დამატებით მიყენებული სხვა დაზიანებების შესახებ.

ბ) სასამართლოს შეფასება

96. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი გაგებულ უნდა იქნას, როგორც კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი დებულება და დემოკრატიული ღირებულებების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, რომლებიც ევროპის საბჭოს განუყოფელი ნაწილებს წარმოადგენს (*Pretty c. Royaume-Uni*, n° 2346/02, § 49, CEDH 2002-III). კონვენციის სხვა დებულებებთან განსხვავებით, მე-3 მუხლი აბსოლუტური მნიშვნელობისაა და არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისს ან პირობას, ხოლო კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, ის არ ექვემდებარება არავითარ გადახვევას (იხ. *Chahal c. Royaume-Uni*, arrêt du 15 novembre 1996, *Recueil* 1996-V, p. 1855, § 79).

97. სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე, ვინაიდან ეს უკანასკნლი, იმყოფება რა სახელმწიფო მოხელეთა ხელში, სუსტ პოზიციაში იმყოფება და ხელისუფლების მოვალეობაა მისი დაცვა (*Berktaş c. Turquie*, n° 22493/93, § 167, 1^{er} mars 2001 ; *Algür c. Turquie*, n° 32574/96, § 44, 22 octobre 2002).

98. თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, როცა მას, მისი ქცევით ამისი აუცილებლობა არ გამოუწვევია ლახავს ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს, პრინციპში, კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას (*Tekin c. Turquie*, arrêt du 9 juin 1998, *Recueil* 1998-IV, pp. 1517-1518, §§ 52 et 53 ; *Chamaïev et autres*, précité, §375).

99. გარდა ამისა, კონვენციის მე-3 მუხლი გულისხმობს ოფიციალურ გამომძიების ჩატარების პოზიტიურ ვალდებულებას (*Assenov et autres c. Bulgarie*, arrêt du 28 octobre 1998, *Recueil* 1998-VIII, p. 3290, §102).

100. ამრიგად, ხელისუფლება ვალდებულია, საჩივრის შეტანისთანავე დაიწყოს მოქმედება. მაშინაც კი, როცა საჩივარი, როგორც ასეთი, არ არის შეტანილი, აუცილებელია გამომძიების დაწყება, თუ არსებობს საკმარისად ზუსტი მონაცემები, რომლებიც იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან არასათანადო მოპყრობას. ამ კონტექსტში, სისწრაფისა და გონივრული გულმოდგინების მოთხოვნა აშკარაა (*Membres (97) de la Congrégation des témoins de Jéhovah de Gldani c. Géorgie*, n° 71156/01, §97, CEDH 2007-... ; *İlhan c. Turquie* [GC], n°22277/93, §63, CEDH 2000-VII).

101. წინამდებარე საჩივართან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2002 წ. ოქტომბერში, კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარეს ორი სამედიცინო ექსპერტიზა განმცხადებლის სხეულზე დაზიანებების დადგენისა და მათი სიმძიმის განსაზღვრის მიზნით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა ექსპერტის მიერ გამოვლენილი დაზიანებები მსუბუქი ხასიათისა იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ზიანს არ აყენებდნენ ჯანმრთელობას, უნდა ითქვას, რომ მომჩივანს ბარძაყებსა და თავზე აღენიშნებოდა სერიოზული დარტყმების კვალი და ასევე რამდენიმე სისხლჩაქცევა ბარძაყებზე, რომელთაგან ყველაზე დიდი 8x2 სმ. იყო. სასამართლოს შეხედულებით, აღნიშნული დაზიანებები საკმარისად მძიმე იყო იმისათვის, რომ რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების არეალში მოქცეულიყო (*cf. Chamaïev et autres*, précité, §§ 200 et 383 ; *Ribitsch c. Autriche*, arrêt du 4 décembre 1995, série A n° 336, pp. 9 et 26, §§ 13 et 39 ; *Assenov et autres*, précité, §§ 11 et 95 ; *mutatis mutandis*, *A. c. Royaume-Uni*, arrêt du 23 septembre 1998, *Recueil* 1998-VI, p. 2699, § 21).

102. საგამომძიებო მისიის ფარგლებში იმ გარემოებების აღდგენის შემდეგ, რომლებშიც 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამის მოვლენები მოხდა, სასამართლომ საჩივარა, რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ განმცხადებლის თანამესაკნეებმა, მათი მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნამდვილად გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა ჯერ საპყრობილის თანამშრომლებს და შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმს (შამაევი, §377). შამაევის საქმესთან დაკავშირებული მისიის ფარგლებში თბილისში ჩამორთმეული ჩვენებების გათვალისწინებით (*Ibid.* §§ 147-151, 153, 155 ეტ 156), სასამართლო არ გამორიცხავს, რომ მომჩივანი ასევე მონაწილეობდა, მისი თანამესაკნეების მხარდამხარ, ზემოხსენებული წინააღმდეგობის გაწევაში, თუმცა მას მოჰყავს ბ-ნი ჩიკვილადის, ციხის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ჩვენება, რომლის მიხედვითაც, „ორი პატიმარი უშედეგოდ ცდილობდა“ დანარჩენი პატიმრების

დამშვიდებას, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებით აგრესიულად იქცეოდნენ (*Ibid.* §157 *in fine*).

103. აღნიშნული მიმართულებით ხელისუფლების მიერ გამოძიების ჩატარების არარსებობის გამო, უცნობია იყო თუ არა მომჩივანი აღნიშნულ “ორ პატიმარს” შორის, იყო თუ არა ის შეიარაღებული და როგორი იყო მისი აგრესიულობის დონე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, განმცხადებლის მოქმედებიდან გამომდინარე, იყო თუ არა აუცილებლობით ნაკარნახევი მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება (*R.L. et M.-J.D. c. France*, n° 44568/98, §§ 67 et 68, 19 mai 2004 ; *Rehbock c. Slovénie*, n° 29462/95, § 77, CEDH 2000-XII). შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია იმ დავის გადაჭრა, რომელიც ამ საკითხთან მიმართებაში მხარეთა დაპირისპირებას იწვევს (იხ. ზემოთ §§ 92 და 94) და შესაბამისად, არ შეუძლია იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ამ კუთხით.

104. გამოძიების წარმართვასთან დაკავშირებით, სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლების გამოყენებით, მომჩივანს უნდა შეეტანა ოფიციალური საჩივარი იმისათვის, რომ კომპეტენტურ ორგანოებს დაეწყეთ გამოძიება განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მის სხეულზე არსებული დაიზიანებების მიზეზი გახდა. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი დებულებები, პირიქით, ეხება კომპეტენტურ ორგანოების მხრიდან, „დანაშაულის ნიშნების არსებობის ნებისმიერ შემთხვევაში“ გამოძიების დაწყების ვალდებულებას, მათთვის სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ამასთანავე, ხსენებულ შამაევის საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, 2002 წ. 9 ოქტომბერს, კომპეტენტურმა ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს № 88 საკნის პატიმრების წინააღმდეგ, ისე, რომ მსხვერპლთა მიერ ამის შესახებ საჩივრის შეტანა აუცილებელი არ ყოფილა (შამაევი §§ 96 და 97). თუმცა, ხელისუფლებას იგივე მოქმედება არ განუხორციელებია ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იმავე პატიმრების წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, არც ხსენებული საქმის ფარგლებში და არც განცალკევებული სახით (*Ibid.* § 384). მათ არჩიეს, ამ კუთხით საერთოდ არ ჩაეტარებინათ გამოძიება, რასაც, სხვათა შორის, არც მთავრობა უარყოფს (იხ. ზემოთ, § 87).

105. როგორც საქმიდან ირკვევა, განმცხადებლისა და მისი თანამოსაკნეების წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიება და განხილვა მხოლოდ № 88-ე საკნის ყველა ბინადრის მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას ეხებოდა. არცერთ მომენტში არ მომხდარა თვით პატიმრების წინააღმდეგ გამოყენებული ძალის პროპორციულობის საკითხის განხილვა.

106. სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც სრულად იყვნენ ინფორმირებულნი № 88 საკანში 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს მომხდარი მოვლენების დეტალების თაობაზე და იცოდნენ, რომ მომჩივანი, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის მთელი წარმოების განმავლობაში,

ამტკიცებდა, რომ ის უმიზეზოდ იყო ნაცემი სპეცდანიშნულების რაზმის მიერ (იხ. ზემოთ, § 21 და 27), უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება განმცხადებლის მიერ საჩივრის ოფიციალურად შეტანამდე. აღნიშნული მით უფრო შეესაბამება სიმართლეს, რომ სამედიცინო ექსპერტიზების მოხსენებები ადასტურებენ განმცხადებლის სხეულზე მნიშვნელოვანი დაზიანებების არსებობას, არასასოდეს არ ყოფილა დადგენილი, რომ აღნიშნული დაზიანებები სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ იქნა მიყენებული და რომ სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 261-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოები ვალდებული იყვნენ ჩაეტარებინათ გამოძიება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებშიც ადგილი ჰქონდა განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას.

107. ასეთ პირობებში, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით გამოძიების არ ჩატარებით, საქართველოს ხელისუფლებამ არ შეასრულა მისთვის კონვენციის მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები. მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მომჩივანს უნდა შეეტანა საჩივარი და გამოძიების დაწყებისთვის ჩაეტარებინა შესაბამისი პროცედურები, დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს.

III. კონვენციის მე-5 § 3 და მე-4 , მე-13 მუხლისა და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევებთან დაკავშირებით

108. ეყრდნობა რა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, მომჩივანი ჩივის, რომ 2003 წ. 12 იანვარს, მისი წინასწარ პატიმრობაში მოთავსებისას, 2003 წ. 17 იანვრისა და 10 აპრილის გადაწყვეტილებებში, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს მისი გათავისუფლების სასარგებლო არგუმენტები და მათი მსჯელობა დაეფუძნა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. განმცხადებლის თანახმად, ის წინასწარ პატიმრობაში მოთავსებულ იქნა არა დანაშაულის ჩადენისთვის, არამედ იმის გამო, რომ პროკურატურას მისცემოდა მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების დასაბუთება, რომელიც უკანონო გახდა 2002 წ. 3 აგვისტოდან.

109. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„ამ მუხლის 1-ლი ც პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წ. 12 იანვარს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივანს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა (იხ. ზემოთ, § 20). განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა

გაგრძელებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წ. 17 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც სსსკ-ის 243-ე მუხლის 1 ა) პუნქტის თანახმად, საბოლოო იყო. (იხ. ზემოთ, §22).

111. სასამართლო შეახსნებს, რომ საოლქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს « საბოლოო შიდა სასამართლო გადაწყვეტილებას », კონვენციის 35-ე მუხლის I პუნქტის გაგებით (*Davtian c. Géorgie* (déc.), n° 73241/01, 6 septembre 2005 ; *Pandjigidzé et autres c. Géorgie* (déc.), n° 30323/02, 20 juin 2006 ; *Ghvaladzé c. Géorgie* (déc.), n° 42047/06, 11 septembre 2007). ვინაიდან მომჩივანმა ევროპულ სასამართლოს მიმართა 2003 წ. 31 ოქტომბერს, 2003 12 და 17 იანვრის ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების მოტივაციასთან დაკავშირებული მისი პრეტენზიები დაგვიანებულია და კონვენციის 25-ე მუხლის 1 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

112. რაც შეეხება წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ 2003 წ. 10 აპრილის გადაწყვეტილებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტების დადგომის დროს, შიდა სამართალში არ არსებობდა მისი გასაჩივრების საშუალება (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-11 პუნქტი). ეყრდნობა რა თავის კარგად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების არარსებობის დროს, ექვემდებარება ვადა აითვლება იმ აქტიდან, რომლისთვისაც მომჩივანს საჩივარში ბრალი ედება (*Onder c. Turquie* (déc.), n° 39813/98, 10 juillet 2001 ; *Pandjigidzé et autres*, décision précitée), სასამართლო ასკვნის, რომ საჩივარის ეს ნაწილიც დაგვიანებულია, შესაბამისად, ის დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი კონვენციის 35-ე მუხლის 1 და მე-4 პუნქტების გამოყენებით.

2. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტების დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიები

113. ეყრდნობა რა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს განცალკევებულად და ასევე, მე-13 მუხლთან ერთობლიობაში, მომჩივანი ჩივის, რომ 2003 წ. 17 იანვარსა და 10 აპრილს შორის პერიოდში, მისი პატიმრობის კანონიერების შემოწმებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი, მაშინ როდესაც სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-7 პუნქტი მას არ აძლევდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. მომჩივანი ასევე აპროტეტებს მისი წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ 2003 წ. 10 აპრილის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალების არქონას.

114. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების

საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

115. დამატებით შეახსენებს რა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი წარმოადგენს ლეხ სპეციალის-ს პატიმრობასთან მიმართებაში (იხ. სხვათა შორის, შამაევი და სხვები, §435), სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს საჩივარის ამ ნაწილის მე-13 მუხლის კუთხით განხილვას.

116. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის კანონიერების პერიოდული კონტროლის არარსებობას 2003 წ. 17 იანვარსა და 10 აპრილს შორის პერიოდში, სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ გულისხმობს მხოლოდ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების თანმხლებ სასამართლო კონტროლს. პირიქით, ის პატიმარს აძლევს რეგულარული ინტერვალებით მისი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის უფლებას, მას შემდეგ, რაც გაჩნდება ახალი კითხვები მისი პატიმრობის კანონიერებასთან დაკავშირებით (*Kolanis c. Royaume-Uni*, n° 517/02, § 80, CEDH 2005-V ; *Jurjevs c. Lettonie*, n° 70923/01, § 57, 15 juin 2006).

117. რაც შეეხება წინამდებარე შემთხვევას, სადავო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი იყვნენ, განმცხადებლის თანახმად, ჩაეტარებინათ მისი პატიმრობის კანონიერების კონტროლი, დასრულდა 2003 წ. 10 აპრილს ანუ მისი საჩივარის შეტანამდე 6 თვეზე მეტი ხნით ადრე.

118. ნებისმიერ შემთხვევაში, სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-17 პუნქტისა შესაბამისად, წინასწარი მოკვლევის ნებისმიერ ეტაპზე, მაშასადამე, 2003 წ. 10 აპრილის შემდეგაც, მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერების საკითხის განხილვა, წინა გადაწყვეტილებების მიღების დროს მოსამართლისთვის უცნობი, ახალი გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა, მომჩივანმა აღნიშნული უფლება არ გამოიყენა. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლოს წინაშე, მას არცერთ მომენტში არ დაუკონკრეტებია, კანონიერებასთან დაკავშირებული და 2003 წ. 17 იანვარსა (სააპელაციო კონტროლის თარიღი) და 2003 წ. 10 აპრილს (მომდევნო კონტროლი) შორის პერიოდში მომხდარი რომელი საკითხი ასაბუთებდა იმას, რომ სასამართლოს, საკუთარი ინიციატივით ან მისი მოთხოვნის საფუძველზე, უნდა განეხილა ხსენებული სამი თვის განმავლობაში მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის კანონიერების საკითხი. (გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, № 40008/04, 2006 წ. 24 ოქტომბერი).

119. ასეთ პირობებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივარის ეს ნაწილი მთლიანობაში აშკარად დაუსაბუთებელია და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

120. რაც შეეხება 2003 წ. 10 აპრილის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალების არარსებობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტების დადგომის დროისათვის, სსსკ-ის 143-ე მუხლის მე-11 პუნქტი არ ითვალისწინებდა მეორე ინსტანციის სასამართლოში წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

121. იმ ფაქტისგან დამოუკიდებლად, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს ორი ინსტანციის მქონე სასამართლო სისტემის შექმნას, წინასწარი პატიმრობის კანონიერების შემოწმებისა და გაფართოების მოთხოვნის განხილვის მიზნით (იხ. სხვათა შორის, *Rapacciuolo c. Italie*, n° 76024/01, § 31, 19 mai 2005), კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის აღნიშნული ნაწილი დაგვიანებულია. შესაბამისად, ის უარყოფილ უნდა იქნას, როგორც დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

3. მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები

122. მომჩივანი მიიჩნევს, რომ დაპატიმრების გამო ის გახდა მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების უფლების დარღვევის მსხვერპლი.

123. მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება (...)"

124. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა მიმოსვლის თავისუფლების უბრალო შეზღუდვას მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის გაგებით, არამედ კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე დაპატიმრებას (*mutatis mutandis, Assanidzé c. Géorgie* [GC], n° 71503/01, § 194, CEDH 2004-II.). განიხილა რა ზემოთ განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ განსხვავებული კითხვა ისმება მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის კუთხით. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული პრეტენზია დაუშვებელია კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

125. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. მორალური ზიანი

126. მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მომჩივანი ერთი მილიონი ევროს ოდენობის თანხას ითხოვს. მისი გათავისუფლების შემდეგ, თბილისის წამებისა და ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის დასკვნაზე დაყრდნობით, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისმა პატიმრობამ და მის მიმართ არასათანადო მოპყრობამ მის ფსიქიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ზემოხსენებული დასკვნა აღწერს განმცხადებლის პატიმრობას რუსეთში სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში და ასევე აანალიზებს საქართველოში მის შემდგომ პატიმრობასთან დაკავშირებულ ფაქტებს.

127. მთავრობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნას, მას გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს და გაპროტესტებულ დარღვევებთან მის ვერავითარ კავშირს ვერ ხედავს. მთავრობას მიაჩნია, რომ თუ წინამდებარე საქმეში სასამართლო დარღვევას დაადგენს, ეს სავარაუდოდ განცდილი მორალური ზიანისთვის სრულიად საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება იქნება.

128. სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ დადგენილი დარღვევის გამო, მომჩივანს მიადგა გარკვეული მორალური ზიანი.

129. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 10.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ა) ხარჯები და დანახარჯები

130. როგორც შიდა სასამართლოების, ისე ევროპული სასამართლოს წინაშე, ქალბატონების მ. გიოშვილის, მ. კობახიძის, ლ. მუხაშავერიასა და თ. გაბისონიას მიერ მისი ინტერესების დაცვისთვის, მომჩივანი ითხოვს 5.000 ევროს. აღნიშნული მოთხოვნის გასამყარებლად დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, მომჩივანი შეახსენებს, რომ ადვოკატები მას წარმოადგენდნენ საგამომიებო ორგანოებთან და ეროვნულ სასამართლოებთან ურთიერთობაში, რომ მათ მოამზადეს სასამართლოს წინაშე წარსადგენი საჩივარი და შემდგომ – აღნიშნული საჩივარების გასამყარებლად წარმოსადგენი სხვადასხვა დოკუმენტი.

131. მთავრობა ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნას. ის მიიჩნევს, რომ ყოველგვარი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, არაფერი არ ადასტურებს იმას, რომ ხსენებული ხარჯები ნამდვილად იქნა გაღებული. ნებისმიერ შემთხვევაში,

მთავრობის შეხედულებით, მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია. უფრო მეტიც, მოცემულ საქმეში ოთხი იურისტის ჩართვა საერთოდ არ იყო აუცილებელი, იმის გათვალისწინებით, რომ ის არავითარ განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა.

132. თუმცა, მთავრობა აღნიშნავს, რომ გამცხადებელს, რა თქმა უნდა მოუწია გარკვეული ხარჯების გაღებამ მისი ინტერესების დასაცავად და აღნიშნავს, რომ 300 ევროს ოდენობის თანხა იქნებოდა სამართლიანი და გონივრული.

133. სასამართლო აღნიშნავს, რომ, რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე წამოყენებული თითოეული პრეტენზია უნდა იყოს დაანგარიშებული, შესაბამის გრაფებში განაწილებული და აუცილებელი მტკიცებულებებით გამყარებული, რის გარეშეც, სასამართლოს შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს აღნიშნული მოთხოვნა (*Svipsta c. Lettonie*, n° 66820/01, § 170, CEDH 2006-... (extraits)).

134. მოცემულ საქმეში, მომჩივანი შემოიფარგლება მხოლოდ მისი ინტერესების დაცვის ანაზღაურების მიზნით გადასახდელი თანხით, ყოველგვარი აუცილებელი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. ასეთ პირობებში, სასამართლომ გადაწყვიტა, უარყოს აღნიშნული მოთხოვნა, როგორც დაუსაბუთებელი.

გ) საურავი

135. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად :

1. უარყოფს მთავრობის არგუმენტებს განმცხადებლის წარმომადგენელთა რწმუნებულებების ნამდვილობასთან დაკავშირებით;

2. ერთად განიხილავს დასაშვებობასა და არსებით მხარეს და უარყოფს მთავრობის არგუმენტს, 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამესთან მიმართებაში მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვასთან დაკავშირებით;

3. დასაშვებად აცხადებს განმცხადებლის კონვენციის მე-3 მუხლზე დამყარებულ პრეტენზიებს, ხოლო დანარჩენს დაუშვებლად;

4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას თბილისის მე-5 საპრობილეში განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო (იხ. ზემოთ, § 84);

5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას 2002 წ. 3-4 ოქტომბრის ღამეს, განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოძიების არარსებობის გამო (იხ. ზემოთ, §§ 105 და 107);

6. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 10.000 (ათი ათასი) ევრო მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი ;

4. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2009 წ. 13 იანვარს, რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე